# საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

## ბრძანება №2-30
## 2014 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №254 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტისა და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი** **შალვა ფიფია**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების**
**დამადასტურებელი მოწმობა**

**№**

ქ. თბილისი --- ---------- 20-- წ.

კოოპერატივის დასახელება: ----------
კოოპერატივის იურიდიული მისამართი: ----------
კოოპერატივის საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
სტატუსის მინიჭების თარიღი (თვე, რიცხვი, წელი) ----------

**წინამდებარე მოწმობა ადასტურებს, რომ კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. ამ მოწმობის მფლობელის მიმართ წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.**

მოწმობა გაცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს 20---- წლის ------ ----------ის № ----- ბრძანების საფუძველზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------